899.962.1(092)
ხ-210

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რამაზ ხალვაში

ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

899.962.1(092) - 2091
ნ-20 ნასოვაში
ცხელი ანა
ნ.ა.
-2091-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რამაზ ხალვაში

ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება

10.01.01. ქართული ლიტერატურა

-2091-

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრაზე

მეცნიერ-კონსულტანტი: **რევაზ სირაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.01.

ოფიციალური ოპონენტები: **ზურაბ კიკნაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.09

მიხეილ ქავთარია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი 10.01.01

გიორგი ალიბეგაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.01

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „16“ „ივნისს“ 13⁰⁰“ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P.10.10.№4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის „10“ „მაისს“

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობა უმძიმეს პერიოდს დაემთხვა, როცა ხვარაზმელთა და მონღოლთა გამანადგურებელმა ლაშქრობებმა წერტილი დაუსვა დიდი ქართული სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას. ამგვარმა კატაკლიზმებმა ძველი საგარეო-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კავშირების მოშლა გამოიწვია, რის შედეგადაც საქართველო აღმოსავლეთიდან მოძალებული ექსპანსიის პირისპირ აღმოჩნდა.

ამგვარ ვითარებაში ტბელ აბუსერისძე თავის გარემოცვასთან ერთად (ძმები – ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და ვარდანი, საქართველოს კათალიკოსი არსენ IV, სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში. ის იყო მრავალმხრივი შემოქმედი – მწერალი, ღვთისმეტყველი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარების მიზეზს ერის „ცოდვებში“ ხედავდა. ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა თანამემამულეების სულიერ განმტკიცებასა და „სრული საქართველოს“ ეკლესიური ერთიანობისათვის ზრუნვას. ამ მიზანს ემსახურება ტბელ აბუსერისძის მიერ ახალი მესიანისტური იდეის წამოყენება და დოგმატურ-პოლემიკური მიმართულების გაძლიერება მის შემოქმედებაში, საერთოდ, მთელი მისი ლიტერატურული და სამეცნიერო-პედაგოგიური მემკვიდრეობა.

ტბელ აბუსერისძის ცხოვრება და შემოქმედება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორგანული ნაწილია, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთიანი სურათის აღდგენა. სადისერტაციო შრომის აქტუალობაც მნიშვნელოვანწილად ზემოაღნიშნული გარემოებებითაა განპირობებული.

კვლევის საგანი და მიზანია ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლა, ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობის წარმოჩენა ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ერთიან კონტექსტში.